განკარგულება:**გ-37.37210972**
თარიღი:**07/04/2021**

განკარგულება N18

7 აპრილი 2021 წელი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მეცნიერების ქუჩა N16-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულიების მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობა-ნაგებობის (ანასეული ს/კ 26.26.50.012, 2058.00 კვ.მ.) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის და 26-ე მუხლების თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში მეცნიერების ქუჩა N16-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობა-ნაგებობის (ანასეული ს/კ 26.26.50.012, 2058.00 კვ.მ.) სარგებლობაში, სასყიდლიანი უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, 10 (ათი) წლის ვადით, ა(ა)იპ - ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირისთვის გადაცემისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა.

მუხლი 2. ამ განკარგულების 1-ლი მუხლით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 776 (შვიდასსამოცდათევქსმეტი) ლარით.

მუხლი 3. განკარგულება გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 5. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი